№ 17.

# ივერია

წელიწადი პირველი

23 ივნისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

სარჩევი: I. საქართველოს მატიანე.—II. ომის ამბები.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა—IV. ორი ლექსი***—V. წერილი გურჯაანიდგან, ცხვილოელისა.—VI. ეტნოგრაფიული განხილვა, დ. ჩუბინოვისა.—VII. მედროშე, (მოთხრობა ალფონ დოდესი.) ნათარ. მგ. ღვინიაშვილისა—VIII. გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის ივლისიდამ პირველს მომავალს იანვრამდე ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

---

## საქართველოს მატიანე

— Тифлисскій Вѣстникъ-მა, ამას წინად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობა ორი ბრალი დასდო. ერთი ისა, რომ ბანკის წესდებულების ძალით ერთ-ერთი დირექტორი უნდა გამოსულიყო წელს მაისში და არ გამოვიდაო, მეორე ისა, რომ 31-ს მაისამდე გამგეობა ამ საგანზედ ჩაჩუმებული იყო და 31 მაისამდეო ეს გარემოება არ აცნობაო ზედამხედველს კომიტეტსაო. უდველს ამასა, რასაკვირველია, Тифлисскій Вѣстникъ-მა თავისებური „ლათაიები“ დაუმატა და ამით ჩვეულებრივად შეამკო თვისი მუდამი გულ-მტკივნეულობა სიმართლისადმი.

გამგეობამ ამის პასუხად გამოაცხადა, რომ ამ გარემოების ზედ მიწევნით მცნობი ბანკის ზედა-მხედველი კომიტეტიაო და თუ ის კომიტეტი საჭიროდ არ დაისავს Тифлисскій Вѣстникъ-ს პასუხი უგოსო, მაშინ თვით ბანკის გამგეობა წარუდგენს ზედა-მხედველს კომიტეტსა სრულს გარემოებას ამ საქმისასაო, ჰსთხოვს მის გამოძიებასაო და გამოძიების ოქმს კომიტეტისას გაზეთებში დაჰბეჭდავსო.

ბანკის გამგეობამ წარუდგინა ზედა-მხედავს კომიტეტს, რომ თ. კონსტანტინე ბებუთოვი Тифлисскій Вѣстникъ-ის რედაქტორიც არისო და ბანკის ზედამხედავის კომიტეტის წევრიცაო და იქნება ამის გამო Тиф. Вѣстникъ-ის ბრალდება დაიჯეროს ვინმეო, ამისათვის გთხოვთო ეს საქმე დაწვრილებით გამოიძიოთო და თქვენი ოქმი ამ საგანზედ დაბეჭდოთო.

შვიდს ივნისს ზედა-მხედავმა კომიტეტმა გამოიძია გამგეობის წარდგინებითა ეს საქმე. კომიტეტში დაესწრნენ თავ-მჯდომარე ღენერალ ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცოვი, წევრნი კომიტეტისა; თ. დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, თ. ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკი, თ. იასე ადამის ძე ანდრონიკოვი თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბებუთოვი (რედაქტორი Тифлисскій Вѣстникъ-ისა), თ. იასე ნოდრეფანისძე ჭავჭავაძე და თ. ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნი.

განიხილეს ეს ქვემორე ორი საგანი, წარდგენილი ბანკის გამგეობისაგან:

1) 31 მაისამდე ბანკის გამგეობამ წარმოუდგინა თუ არა ზედა-მხედავს კომიტეტსა კითხვა მასზედ თუ — უნდა გავიდეს გამგეობიდამ ერთ-ერთი დირექტორი, თუ არ უნდა გავიდეს? 31 მაისამდე გამგეობამ რამდენჯერმე აცნობა თუ არა ზედა-მხედავს კომიტეტსა ყოველივე გარემოება, რაც ამ საგანს შეეხება?

2) ზედა-მხედავმა კომიტეტმა გამოუცხადა თუ არა გამგეობას, რომ ერთ-ერთის დირექტორის გამოსვლის საქმე გადიდოს იმ დრომდე, ვიდრე დამტკიცებულ იქმნება ახლად წარდგენილნი ცვლილებანი ბანკის წესდებისა? ბანკის გამგეობას გადაწყვეტილება მასზედ, რომ არც

ერთი დირექტორი არ უნდა გვყავდეს—კანონიერია, თუ არა?

პირველს კითხვაზედ რვა წევრთაგან შვიდმა ჰსთქვა ჰო, ერთმა—არა. მეორე კითხვაზედ ექვსმა ჰსთქვა ჰო, ორმა—არა. ამასთანავე კომიტეტმა აღიარა, რომ 6-ს და 12 მარტსა, 1-ს აპრილს ბანკის გამგეობამ ამ საქმის გარემოება წარმოუდგინა ზედა-მხედავს კომიტეტსა.

ვრცელი ოქმი ზედა-მხედავის კომიტეტისა ამ საქმის თაობაზედ დაიბეჭდა გაზეთებში: **Кавказъ**-ში და **Тиф. Вѣстникъ**-ში.

— სოფელს წყნეთში იქაურს სოფლის ღვდელს გაურამაძეს იქაურის ეკკლესიის გვერდით სასწავლებელი გაუმართავს და ყმაწვილები დადიან სასწავლებლად კიდეცაო.

— ამ უკანასკნელს დროს ქალაქში ერთობ გამრავლდა წითელით ავათმყოფობა. მთაწმინდაში და კალოუბნიბაღკაში ძალიან იხოცებიან ყმაწვილებიო. ნუ თუ ქალაქის გამგეობა ექიმს არ მიაშველებს!..

— მაისის გასულს ტფილისში ერთი ახალი აფთიექი გაიმართა, ბულვარზე, სამხედრო სამსაჯულოს გვერდით. ეშველათ ვერის უბნელებს!..

— რადგანაც საზღვარ გარეთიდამ გზა შეიკრა შავს ზღვაზედ, ამის გამო, ამბობენ, ქალაქში ყველა ჩითეულობა გაძვირდაო.

— ამბობენ, მტკვარზე რომ ნავი მუშაობს, იმის ახლო ამას წინად ორი კაცი მოკლული უნახავთო.

— წყნეთიდამ ამბავი მოვიდა, რომ იქით მხარის სოფლები და თვითონ წყნეთიც ძალიან დაზარალებულან სეტყვისაგანაო.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენი ქართველი მსწავლული თ. თარხნიშვილი პეტერბურგის საქიმო აკადემიაში ფიზიოლოგიის პროფესორად დაუნიშნავთო. სტუდენტებს აკადემიისას თურმე ძალიან უყვართ თ. თარხნიშვილი და მის დანიშვნა გაახარებიათ. ამით ქართველთაგანი ჰყავს სამი პროფესორია: ერთი ალექსანდრე ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მეორე უფ. პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტში და მესამე თ. თარხნიშვილი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ ამ ახალ გზაზედ ჩვენს ახალგაზრდა მსწავლულთა ჩვენდა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. ამ ჟამად თ. თარხნიშვილი და უფ. ცაგარელი საქართველოში იმყოფებიან.

---

## გასაფთხილებლად.

ვალად ვრაცხ საყოველთაო საცნობლად გამოვაცხადო, რომ ამ ჟამად ტფილისში საქონელს გამოაჩნდა თურქული სნეულება ესე შესაყარია, და ამის გამო ვრცელდება ხოლმე. ჩლიქის ჩირქსა, დუჟსა და რძეში არის იმისთანა შესაყარი რამ, რომ მით ეს სნეულება გადაედება ხოლმე. მრავალ ჯერ ნაცადია, რომ ეგ სნეულება გადაედება არამც თუ პირუტყვსა, არამედ ადამიანსაცა. მრავალი მაგალითია, რომ ადამიანს გადასდებოდეს ეგ სენი სნეულის ძროხის რძისაგამო. სანუგეშო ის არის რომ ადუღებულს რძეს ეკარგება შესაყარი თვისება. რაკი რძე ადუღებულია სენი აღარ გადაედება მისგამო. ამისათვის აუდუღარის რძის სმარებას უნდა მოერიდოს კაცი. ვისთვისაც აუდუღარი რძეა საჭირო სახმარებლად, მან ჯერ პირველად უნდა იკითხოს ჯანმრთელის საქონლისაა თუ არა. თუ სნეულისა იხმარა, მაშინ შესაძლოა ან პირში გამოაყაროს მუწუკი, რომელიც ბავშთათვის მეტად საშიშია, ანუ მუცლის შიგნეულობა დაუსნეულოს. უმორჩილესად ვითხოვ ყოველმა აქაურმა გაზეთებმა გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (**Кавказъ**).

ტფილისის ქალაქის პირუტყვთა მკურნალი

შეინ-ფოგელი.

---

## ომის ამბები.

— **11** თიბათვეს, როდესაც ჩვენი ჯარი ცისის-ძირისკენ მიდიოდა, უეცრად ოსმალები დასხვედრიათ და შეტაკება მოსვლიათ. ამ ბრძოლაში ჩვენის მხრით დაუჭრიათ: ფლიგელ-ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ტერიევი; სტრელკოვთა ბატალიონის მაიორი თ. მელიქოვი და პორუჩიკი პოპოვი; პიატიგორსკის პოლკისა მაიორი ულიანოვი და პრაპორშჩიკი ლევიცკი; ზაქათალის პოლკის კაპიტანი ანოსოვი; ლენკორანის პოლკის პრაპორშჩიკი შაგილ გირეი კურამშინი; სევასტოპოლის პოლკის პორუჩიკი ფედკოვსკი; მეორე საპერის ბატალიონის პორუჩიკი ლალოში, პირველის გურიის დრუჟინის როტმისტრი ჩხეიძე და გრუზინსკის პოლკის პოდპორუჩიკი აბულაძე.

— **12** თიბათვეს ოსმალები იმ ჯარის შუაგულს და მარჯვენა მხარეს დასცემიან, რომელიც სამებასთან იყო დაბანაკებული. დილის თერთმეტის საათის ნახევრიდამ სადამოს შვიდ საათამდე ბრძოლა არ შეწყდარა.

რუსებმა ოსმალები სრულებით განდევნეს და ბევრი ზარალიც მისცეს. ტყვეთ დარჩენილნი ოსმალები ამბობენ, რომ ციხის-ძირში დერვიშ-ფაშა არისო. ამ საქმეში ჩვენს მხარეს დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი 150-მდე არისო.

ამ ორივე საქმისათვის მისს იმპერატორების უმაღლესობას, მთავარ სარდალს შემდეგი დეპეშით გაუბედნიერებია გენერალი ოკლობჟიო: „გამოუცხადეთ ყველა უფროსებს და გამარჯვებულ ჯარს, ჩემი სრულიადი მადლობა მათის ვაჟკაცურის მოქმედებისათვის 11 და 12 თიბათვის დღეს.

ამ საქმის შემდეგ ოსმალებს ციხისძირიდამ, სადაც ახალის სიმაგრეების აშენება დაუწყვიათ, სროლა სრულებით შეუწყვეტიათ. მაგრამ ქობულეთლებს მაინც სროლა არ შეუწყვეტიათ როგორც ჩვენებისადმი ისე მათდამი, რომელნიც რუსებს დაემორჩილდნენ. ამისგამოისობით 30-მდე ახლად დამორჩილებული სახლობა ოზურგეთის მაზრაში გადაუსახლებიათ.

— 12 თიბათვეს დიდ-ძალი ხალხი დახოცილა თურმე ოსმალების მხრით. დახოცილთა შორის შტაბ-აფიცრები და ბატალიონის უფროსებიც ურევიან.

— 14 თიბათვეს ოსმალების ხომალდები ილორს მოსდგომიან და ყუმბარების სროლა დაუწყვიათ. ამას გარდა იერიშითაც ნდომიათ მისვლა, მაგრამ რუსების არტილერიას დაუზარალებია ოსმალოს ჯარი, რომელსაც ხომალდების მფარველობის ქვეშ უკან დაუწევია. ჩვენს მხარეს ერთი დაჭრილია.

— 11, 12 და 13 თიბათვეს რუსის ჯარს ცხრა ახალი ბატარეა გაუმართავს ყარსიდამ 1,400 საჟენის მანძილზედ. ჩვენს მხარეს 2 კაცი მოუკლავთ და 4 დაუჭრიათ.

— 12 თიბათვეს დიდოელები თ. ჯორჯაძის ატრიადს დასცემიან, რომელიც სოფ. ხუპროსა მდგარა. სიღნაღის ადგილობრივის კამანდის აფიცერი თ. ჩერქეზოვი მოუკლავთ და ათი ჯარის-კაცი. დაჭრილთა შორის თ. საკო ჯორჯაძეა და 20 ჯარის-კაცი. დიდოელებს ბევრი ზარალი მისცემიათო.

— 15 თიბათვეს ჩვენს ჯარს ილორიდამ და ჰქვეშიდამ გაუწევნია მდ. გალიზგი გადუვლია და ოსმალოს ჯარი ოჩემჩირის იქით გაუდევნია. მალიან ცხარი ბრძოლა გამართულა, რადგანაც რუსებს სიმაგრენი და მაღლობები სულ იერიშით ასაღები გახდომიათ. მტრის მხრით აბხაზების გარდა ამ ომში ოსმალეთისა და ეგვიპტის ჯარიცა ყოფილა, რომელიც ბრძოლის დროს სოხუმიდამ მოჰშველებია. რუსის ჯარს დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია. მტერს დიდი ზარალი მისცემიაო. ჩვენს მხარეს დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი ორასზე მეტი არ ყოფილაო.

— რუსულ გაზეთებში შემდეგი ოფიციალური ტელეგრამმა არის დაბეჭდილი: „ვინიდგან მოსული ქურთები ბაიაზეთს შემოჰხვევიან და მეციხოვნეთა რამდენჯერმე უკუუქცევიათ მტერი.

— ზივინის ბრძოლის შემდეგ გენერალს ლორის მელიქოვს მელუდიზი დაუჭერია იმ განზრახვით, რომ გენერალ ტერ-გუკასოვს გაუადვილოს ალაშკერტსს და ბაიაზეთს მისვლა.

— ყარსზედ ყუმბარების სროლა არ შემწყდარა. სამის დღის განმავლობაში (15, 16 და 17 თიბათვეს) ჩვენს მხარეს ერთი მკვდარია და ათი დაჭრილი.

— 14 თიბათვეს პოლკოვნიკი კომაროვი არტანუჯისაკენ *) გასულა და 17-ს ამ ქალაქის ახლოს ოსმალის ჯარს (სამი ათასს კაცს) დასცემია, მალიან დაუმარცხებია და არტანუჯიდამ გაუდევნია. გამაგრებული ბანაკი 220 კარავით ჩვენ ხელთ დარჩენილა. თვით არტანუჯში რუსებს დახვედრიათ 400 ჩეტვერტი ხორბალი, 500 ფუთი ფქვილი, სუხარი,—ტყვის საქონელი, თამბაქო და 300 ფუთი ტყვია-წამალი. რუსებს დიდი მამაცობა გამოუჩენიათ. ჩვენს მხარეს ერთია მკვდარი და 17 დაჭრილი ჯარის კაცი. ოსმალებს 100-ზე მეტი მკვდარი დარჩენიათ ნაომარს ადგილსაო.

---

— დუნაიის მხედრობის შესახებ წარსულ კვირას მალიან შესანიშნავი ამბავი მოვიდა: 15 თიბათვეს განთიადს რუსის მხედრობის ერთი კორპუსი დუნაიის იქითა ნაპირას გადასულა ქ. სისტოვს (რუშჩუკისა და ნიკოპოლის შუა), ზიმნიცის პირდაპირ (ზიმნიცი რუმინიის ნაპირას არის.) რაც ზარალი მოსვლია რუსის ჯარს გადასვლის დროს ჯერ ნამდვილად არ არის ცნობაში მოყვანილი; ჯერჯერობით ცნობილია, რომ ასი კაცია მკვდარი და 360 დაჭრილი, რომელთა შორის რამდენიმე აფიცერია.

ხელმწიფე იმპერატორისა და მთავარ სარდლის უმთავრესი სადგომი ზიმნიცში გადუტანიათ. ზიმცინისა და სისტოვის შორის ხიდს აშენებენ.

---

*) არტანუჯი არტაანის დასავლეთით მდებარეობს, არტაანისა და შავი ზღვის ნაპირის შუა გზაზე.

— 18 თიბათვეს თვით ხელმწიფე იმპერატორს გადუვლია დუნაია და ბოლგარიის ნაპირას მიბძანებულა, სადაც ხალხი აღტაცებით მიჰგებებია. სისტოვაში, სადაც ხალხი და სამღვთელო დიდის აღტაცებით დახვედრია, ხელმწიფე იმპერატორმა პარაკლისი მოისმინა. დედაკაცები ხელმწიფე იმპერატორს ყვავილებს უფენდნენ და კალთებს ჰკოცნიდნენ. საღამოზედ ხელმწიფე იმპერატორი ისევ ზიმნიცში წაბძანებულა.

ხელმწიფე იმპერატორს ბოლგარიელებისათვის პროკლამაციის გამოცემა უნებებია, რომლითაც იგი უცხადებს მათ, რომ ჩემს მხედრობას განზრახვა აქვსო დაიცვას ბოლგარიელთა გვარტომობის უფლებანი, რომელნიც ხალხმა შეიძინა დიდის ტანჯვითა და სისხლის ღვრით. რუსეთის განზრახვა აღდგინებაა და არა დარღვევა რისამე. ჩვენს მოქმედებას წინ მიუძღვის სიმართლე, წესიერების დადგენის მტკიცე სურვილით და უსამართლობისა და უწესოების მაგიერ კანონიერება და სამართლიანობაო. მაჰმადიანნი, რომელთაც კაცის მკვლელობის ბრალი დაედებათ ჯეროვანად დაისჯებიანო.

ბოლგარიის ქრისტიანებს ხელმწიფე იმპერატორი უბძანებს: „მოვიდა დრო ოსმალებისაგან განთავისუფლებისა. რამდენად რუსის ჯარი წინ წადგება, იმდენად ოსმალეთის უფლება შეიცვლება წესიერს განწყობილებად. ბოლგარიის ლეგიონებმა უნდა დაიცვან წესიერება და მშვიდობიანობა. ღმერთს ვსთხოვ გამარჯვება მოგვანიჭოსო“.

ამ რიგად დუნაიის მხედრობამ ერთი ყველაზედ უმძიმესი სიძნელე და დაბრკოლება აიცილა თავიდგან: ოსმალეთს თითქმის სრულებით ფუჭად ჩაუარა დუნაიის სიმაგრეებმა და ხომალდებმა, რომელნიც მარტო იმიტომ იყვნენ დაარსებულნი, რომ რუსის ჯარი მეორე ნაპირას არ გადმოეშვათ. რუსის ჯარი იმ ალაგას გადვიდა, სადაც ოსმალოები სრულიად არ მოელოდნენ.

ოსმალებს ერთი შესანიშნავი და გაუგებარი შეცდომა მოუვიდათ: დიდი ხნის რუმინიის ნაპირს სიმაგრეები უნდა გაეკეთებინათ და მით დაბრკოლება მიეცათ რუსის ჯარისათვის.

ეხლა რუსებს ბალკანიის მთებამდე არავითარი შესანიშნავი დაბრკოლება აღარ ექმნებათ.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.**—4 (16) თიბათვეს, როგორც მოგეხსენებათ, გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტი. მთელი საფრანგეთი დიდის მოუთმენლობით მოელოდა ამ დღეს, რადგანაც როგორც სენატში, აგრეთვე დეპუტატთა პალატშიაც მძიმე და საფრანგეთის ბედისათვის შესანიშნავი საგანი უნდა გარჩეულიყო. ერთის მხრით მოელოდნენ, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსთხოვს სენატს პალატის გადაყენების ნება-რთვას; მეორეს მხრით, დეპუტატთა პალატში დიდი გაცხარებული ბაასი უნდა გამართულიყო ახალის სამინისტროს შესახებ. ყველამ იცოდა, რომ თუ 4 მაისს რესპუბლიკელებს ვერ მოუხდათ თავისის სამდურავის გამოთქმა მთავრობისადმი, რადგანაც პირიდგან სიტყვა გამოჰგლიჯეს, ეხლა მაინც თავისას იტყვიანო.

ასე მოხდა კიდეც. სენატის პირველსავე სხდომაში სამინისტროს მოთავემ, ჰერცოგმა ბროლჯიმ, მაკ-მაგონის ეპისტოლე წაიკითხა, რომელშიაც რესპუბლიკის პრეზიდენტი სთხოვს სენატს ეხლანდელი პალატის სრულიად გადაყენებას.

ამ ეპისტოლეში ახალი არა არის რა. მაკ-მაგონი ისევ იმას იძახის, რასაც იძახდა: საფრანგეთი იღუპებაო, რადიკალების ხელში ჩავარდნილიაო და ამიტომ მე, როგორც წესიერების დამცველიო, მოვალე ვარო ყოველი ღონისძიება ვიხმაროვო და ჩემი სამშობლო განსაცდელისგან დავიხსნაო. ამ გვარ ღონისძიებას კონსტიტუციის მეხუთე მუხლი მაძლევსო. ამ მუხლის ძალით მე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტს, ნება მაქვს სენატის ნება-დართვით გადავაყენო დეპუტატთა პალატი და ახალი მოვიწვიოვო, პალატის გადაყენება ასე ჩქარა არ მინდოდაო, მე მსურდაო რომ პალატს ჯერ სამერმისო შემოსავალ-გასავალის ანგარიში დაემტკიცებინაო და მერე დამეთხოვაო, მაგრამ ამ ერთის თვის განმავლობაში რესპუბლიკელებმა ისე აალელვეს საფრანგეთიო, ისეთი უპატიურობა გამოიჩინეს მთავრობისადმიო, რომ ვეღარ მოვითმინეო და ეხლა ჩემი ჩივილი პირდაპირ საფრანგეთს უნდა მივმართოვო, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ჩემსავით აწმყო წესიერების დაცვა ჰსურსო.

იმავე დროს, როდესაც სენატი ამ გვარ ეშმაკობით აღსავსეს წუწუნს ისმენდა, დეპუტატთა პალატში ცხარი

და აღელვებული ბაასი გაიმართა. ყველა მოელოდა, რომ რესპუბლიკელები პასუხს მოსთხოვდნენ მთავრობას და თავის მრისხვას გამოუცხადებდნენ.

პირველად წამოდგა მინისტრი ფურტუ და თით-ქმის სიტყვა სიტყვით განიმეორა მაკ-მაგონის ეპისტოლე შემდეგ წამოდგა დეპუტატი ბეტმონი, რომლის პირით რესპუბლიკელებმა ისურვეს ზემოხსენებულის პასუხის მოთხოვნა მთავრობისაგან. „მე კარგად ვიცნობ, სთქვა ბეტმონმა, აწინდელ სამინისტროს: იგი 24 მაისს 1873 წ. განაგებდა საფრანგეთის საქმესაო. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყოვო, მაშინ პალატის უმრავლესობა მონარხიელთ ეკუთვნოდაო; მაშინ რესპუბლიკა მკვიდრად არ იყო დადგენილიო. ეხლა კი პალატის უმრავლესობა მაგ სამი-ნისტროს წინააღმდეგიაო.

„ამ ერთის თვის განმავალობაში ახა რა გააკეთა სამინისტრომ? რა ძალაზედ არის იგი დამყარებული? ეს ძალა, ჰსთქვა ბეტმონმა, არის მონარხიელების დროებითი ზავი და შეკრულობა. ერთობისა კი რა მოგახსენოთ: თქვენ (ე. ი. სამინისტროს მომხრენი) სამგვარნი ხართ: ორლეანისტები, ლეგიტიმისტები და ბონაპარტიელნი. თქვენ ლეგიტიმისტებო, ვიდრე რომიდამ ბრძანება მოგივიდოდათ, ყოყმანობდით. მხოლოდ კლერიკალობა აზავებს ამ სამის, ერთი ერთმანეთზე გადამტერებულის, დასის კაცებს. მაშ მხოლოდ კლერიკალობა გვიდგა ეხლა ჩვენ წინ.

„მონარხიელებმა დაინახეს, რომ დეპარტამენტისა და მუნიციპალის არჩევანი ახლოვდებოდა და სენატის აწინდელი უმრავლესობა ხელიდგან ეცლებოდათ. მონარხიელებმა იგრძნეს ყველა ეს, და ამასთან ჩვენი გაძლიერებაც და ამიტომ კლერიკალების შემწეობით მოახდინეს 16 მაისს თავისი მანქანება.“ ამის შემდეგ წამოდგა ფურტუ და სიტყვა სთქვა მთავრობის გასამართლებლად: „მაშ კარგიო, თუ თქვენ არ გვენდობით ჩვენ, არც ჩვენ გენდობით თქვენაო. გრძელი ლაპარაკი აქ საჭირო არ არისო: მშვიდობიანობის მაგივრად, თქვენ შფოთსა და არეულობას დაეძებთო. და ბოლოს დაუმატა: საფრანგეთი რადიკალების ხელშიაო, სამშობლო იღუპება და უნდა დავიცვათო.

ფურტუს შემდეგ წამოდგა გამბეტა და წარმოსთქვა გრძელი და მშვენიერი სიტყვა. ალაგის უქონლობის გამოისობით, ამ სიტყვას მხოლოდ ადგილ-ადგილ ვაცნობებთ მკითხველს. „თქვენ, მიუბრუნდა გამბეტა მინისტრებს, სიტყვით და წერით გამოუცხადეთ ჩვენს ქვეყანას, რომ მარშალი სამსახურიდამ გამოვაო თუ თანაგრძნობას ვერ ჰპოვებსო, მაგრამ როდესაც დაინახვთო, რომ თქვენი მუქარა არავის არ აშინებს, როდესაც დაინახეთ, რომ ყველა სიხარულით მოელის მაკ-მაგონის სამსახურიდამ გადადგომას, მაშინ პალატის გადაყენება მოინდომეთ. ძალიან კარგი! ჩვენ სიხარულით მივიღებთ მაგ გადაყენების ამბავსა, თუმცა იგი ყოვლად უკანონოა. კარგს იზამთ, თუ გადააყენებთ პალატას. მოჰკითხეთ ჩვენს ქვეყანას მისი განაჩენი, ახა გაბედეთ და ჭეშმარიტი არჩევანი გამართეთ. მთავრობას ჰგონია, რომ შესცვლის ხალხის აზრსა და მიდრეკილებასა. ძალიან სცდება, რადგანაც ერმა კარგად იცის, რომ რაკი რომელიმე მონარხიელი დასი გაიმარჯვებს, მაშინვე საერო, ურთი-ერთშორისი სისხლის-ღვრა მოხდება. თქვენ ბედავთ და ამბობთ, რომ 16 მაისის ცვლილება ქვეყნის მშვიდობიანობისათვის მოვახდინეთო. ახა ახლა ჰკითხეთ ევროპას, — მთელ დედამიწაზე არსაიდამ ერთი ხმაც არ მოისმა თქვენს გასამართლებლად. მთელის ევროპის ჟურნალ-გაზეთობამ თვისი წუნი და მრისხვა გამოგიცხადათ. ამისთანა ერთგვარი წუნი და მრისხვა რომ დაინახეთ, შეწუხდით და აი რა მოიგონეთ საქმის გასასწორებლათ და თქვენდა სანუგეშოთ: თქვენ შეადგინეთ ინგლისის გაზეთის Times--ისათვის ტყუილი წერილი და ეს ისე გაგვსარდეთ, რომ ვიდრე ამ გაზეთში დაბეჭდებოდა, იგი წერილი, ვერ მოითმინეთ, და თქვენ თვითონვე გამოაცხადეთ.

„როგორ! თქვენ ჰბედავთ და ამბობთ, რომ ჩვენ ხალხს ვატყუებდით! მაგრამ იცით რა გვქმენით ჩვენ? ჩვენ შევიმაგრეთ ხალხის რისხვა და წყრომა.“

გამბეტამ მშვენიერად დაუხატა პალატს საფრანგეთის აწინდელი მდგომარეობა, გაშინჯა თუ რა გვარი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს რესპუბლიკამ და პალატის აწინდელმა უმრავლესობამ. გამბეტამ მოაგონა, რომ პალატის ყოველს კეთილს მოქმედებას სენატი აძლევდა დაბრკოლებასაო, ე. ი. სენატის მონარხიელი უმრავლესობაო. თქვენ აბრალებთ პალატასაო, რომ იგი რადიკალებით არის აღსავსეო. ამასთან გავიწყდებათო, რომ პალატის თაოსნობით ჩვენმა მხედრობამ ერთი ორად იმატაო, ყველა აფიცრებს ჯამაგირი მოემატაო. პალატა თხოულობდა სამხედრო სამსახურის შემოკლებასაო.

იმ განზრახვით, რომ ყოველს ქვეშევრდომს საფრანგეთისას სამხედრო სამსახურის უღლის გაწევა შესძლებოდა.

„სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ პალატამ რიგი, წესიერება და სიფრთხილე ჩამოაგდო. პალატამ დიდი ღვაწლი დასდვა ხალხის პირველ დაწყებითის და საშუალო სწავლისათვის. დიდძალი ფული გადასდვა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მომზადებისათვის.

„თქვენ, უთხრა გამბეტამ მინისტრებს, იმისთვის კი არ შეგეშინებიათ, რომ პალატი ვითომ შფოთის ჩამომგდებია, არამედ იმისი ფიქრი გწყდებათ, რომ პალატი ზომიერად და კეთილ გონიერად იქცეოდა.

„რას შეუშინდით და რისთვის მიჰმართეთ მარშალს იმისთვის რომ თქვენი სამსახურის ადგილები შეგრჩენოდათ!“ მთელი სამი საათი ილაპარაკა გამბეტამ. მონარხიელები წამ და უწუმ პირიდამ სიტყვას ართმევდნენ-უშლიდნენ და თითქმის ილანძღებოდნენ კიდეც, მაგრამ გამბეტამ საკვირველი მოთმინება გამოიჩინა და თავისი ღირსება იმოდენად დაიცვა, რომ არც ერთი უპატიო სიტყვა და არა ვითარი შეურაცხ-ყოფა არ წამოსცდენია. გამბეტამ გასაოცრად მოუთმინა მონაპარტიელებსა, რომელნიც სწორედ ილანძღებოდნენ,—და თავისი სიტყვა აუჩქარებლივ და მშვიდობიანად დაასრულა. მომავლის არჩევანისათვის მისგან თქმულს დიდი ზედ-მოქმედება ექნება საფრანგეთის ხალხზედ. წარმოიდგინეთ რამოდენა თავის დაჭერა, რამოდენა სულგრძელება და თავისთავის პატივი უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ შემდეგს სიტყვებს კაცმა ყური არ ათხოვოს და მთქმელს სამაგიერო არ უგოს: როდესაც გამბეტამ ჰსთქვა, რომ არის კიდევ ერთი დასიო, რომელსაც კარგი წამალი აქვს საზოგადოების სიკეთის დაცვისათვისაო, სახელდობრ, ერთი ბატალიონი სალდათიო, ამ დროს ბონაპარტიელმა პოლ კასანიაკმა მიჰსძახა: „შენთვის ორი ჟანდარმიც საკმაოაო.“ ამავე კასანიაკმა შეჰსძახა გამბეტას: „შენ ავაზაკების ამხანაგი ხარო.“ მაგრამ გამბეტამ ამ შეურაცხ-ყოფას ყურიც არ ათხოვა და ძლიერებით მოსილის გულმშვიდობითა განაგრძო თავისი სიტყვა.

სწორედ მართალი ჰსთქვა გამბეტამ, რომ ჩვენ ხალხის რისხვა შევაყენეთო. მართლა და საკვირველ ჩუმს და მშვიდობიან სურათს წარმოადგენდა პარიჟი იმ დღეებში, როდესაც პარლამენტში იმისთანა მძიმე საგანზედ იყო სჯა და ბაასი. ამას წინედ ერთი რესპუბლიკელი სენატორი გარდიცვალა პარიჟში. ამ გვარ შემთხვევაში დიდძალი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს,—და საპოლიტიკო კაცის დასაფლავება, რომელსაც სხვა ქვეყანაში ყურსაც არ ათხოვებენ, საფრანგეთში საპოლიტიკო საქმედ გადიქცევა ხოლმე, მეტადრე თუ სხვა რომელიმე შემთხვევაც ზედ დაერთვის, როგორც მაგალითებრ ამ ჟამად, როდესაც საფრანგეთი დიდ განსაცდელშია. აი რა წერილი მოჰყავს გაზეთს Indèpendance Belge-ს იმ დღის შესახებ, რა დღესაც ხსენებულ სენატორს ასაფლავებდნენ: „ხალხი (ამ დასაფლავების დამსწრე) საკვირველად მშვიდათ და მართებულად იქცეოდა. ყველა ის, რაც თქმულა პარიჟის ხალხის გონიერებაზედ, წესიერებაზედ და მშვიდობიანობაზედ, ცოტაა მასთან, რაც იყო. დიდი თუ პატარა, ბედნიერი თუ უბედური ყველანი ერთ რიგად იმისთანა კრებას შეადგენდა, რომელიც, თვის ძლიერებით აღსავსე, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე სამაგალითოთ აჩვენოს თავისი თავი, მართებულად გამოჩნდეს, არავითარი დანაშაული არ იკადროს და მით შემთხვევა თუ მიზეზი არ მისცენ მათ, ვისაც წესიერების და საზოგადოების მცველად თავი მოაქვსთ. ვისაც კი უნახავს ეს ჩუმი და მართებული კრება ვერ წარმოიდგენს, რომ ეს ის ხალხია, რომელსაც საზოგადოების ამღვრევის სურვილს ბრალად ჰსდებენ.“

„ესლა როგორც უნდა წავიდეს საფრანგეთის საქმე. ყველა თითქო წინადვე დამზადებული ყოველის შემთხვევისათვის. მართლადა დიდი სატანჯველი უნდა გამოევლო ხალხს, რომ რამდენიმე წლის განმავალობაში ამისთანა დამჯდარი გონიერება მოეპოვებინა.“ ესლა წარმოიდგინეთ რამდენათ მართალი და გულწრფელი უნდა იყოს საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ამბობს, რომ საფრანგეთს რადიკალები დაჰსხვევიანო და იგინიო სახელმწიფოის, ოჯახობის, საკუთრების და სხვათა ამ გვართა საზოგადოების ქვაკუთხედთა გამონგრევას აპირობენო.

— 7 (19) ივნისს დეპუტატთა პალატამ შემდეგი წინადადება მიიღო: „რადგანაც ესლანდელი სამინისტრო იმ უმრავლესობის კანონის წინააღმდეგ დაინიშნა, რომელიც საპარლამენტო მმართველობის დედა-კანონს შეადგენს; რადგანაც, რა დღესაც დაინიშნა, მაშინვე არც ერთს წარმომადგენელთა ნება არ მიჰსცა ლაპარაკისა; რადგანაც მან მთელი ადმინისტრაცია გადააყენ-გადმოაყენა, რომ

თავისი მომხრენი დანიშნა და მით გაძლიერა უქონია. საყოველთაო კენჭის ყრაზედ; რადგანაც ახალი სამინისტრო მხოლოდ იმ დასის წარმომადგენელნი არიან, რომელიც რესპუბლიკის მტერია და კლერიკალების მიმდევარი; რადგანაც იგი მხოლოდ ამის გამოისობით არ სდევნიდა იმ პირთა, რომელნიც შეურაცხ-ჰყოფდნენ ერის წარმომადგენელთა; რადგანაც მთავრობის მოქმედება შიშს მოასწავებს წესიერებისა და მშვიდობიანობისათვის, და ამასთან საქმეების არევ-დარევასა, ყველა ამის გამოისობით პალატა აცხადებს, რომ ხალხის წარმომადგენელნი ვერ ენდობიან ახლანდელს სამინისტროს."

ამ წინადადებას 363 თეთრი კენჭი მოუვიდა და 158 შავი.

— 9 (21) თიბათვეს სენატში ვიქტორ-ჰიუგომ ილაპარაკა პალატის გადაყენების შესახებ. „საფრანგეთი,—ჰსთქვა გამოჩენილმა მოხუცებულმა პოეტმა,—არას დროს არა ყოფილა იმისთანა განსაცდელში, როგორშიაც ამ ჟამად არის. ეხლა სენატზედ არის დამოკიდებული, მშვიდობიანობას მიანიჭებთ საფრანგეთსა თუ კიდევ ახალს შფოთსა და არეულობაში ჩააგდებთ. საფრანგეთს ააშფოთებთ, თუ დაამშვიდებთ, ამით ააშფოთებთ და დაამშვიდებთ მთელს ევროპასაც. ეხლა სენატს მიეცა შემთხვევა თავისი თავი გამოჰსცადოს. წარსული კარგი მასწავლებელია. ყოფილი ბოროტ-მოქმედება შეიძლება რომ ხვალაც ისევ მოხდეს." ვიქტორ-ჰიუგომ ჰსთხოვა სენატს, ცოტა მაინც მოითმინეთო და ასე ჩქარა ნუ გადააყენებთ პალატასაო, თორემ არეულობა რამ ასტყდებაო. „საკვირველიაო,—ჰსთქვა ბოლოს ვიქტორ-ჰიუგომ, რომ ამ ჟამად რევოლიუციის სული მთავრობას უდგას და ზომიერი სული მთავრობისა—პარლამენტის უმრავლესობასა. სუფევს პაპის დასი, რომელიც იტალიის ეწინააღმდეგება. უნდათ რომ საწმუნოება ომის მიზეზათ გახადონ. ეცადენით, რომ ამათ თავისი საწადელი არ აისრულონ. მოსპეთ 16-მაისის გასაოცარი ამღვრეულობა. თქვენს ხელთ არის საფრანგეთის დამხობაცა და დახსნაცა. სენატორებო! დაამტკიცეთ, რომ თქვენ ქვეყნისათვის მართლა საჭიროები ყოფილხართ!"

ვიქტორ-ჰიუგომ ძალიან ააშფოთა მონარხიელები: რომელნიც წამ და უწუმ უყვიროდნენ: „გაჩუმდით, უკანვე წაიღეთ თქვენი სიტყვა." მოხუცებულის პოეტის სიტყვამ, როგორც მოგეხსენებათ, ფუჭად ჩაიარა: სენატმა გადასწყვიტა, რომ ახლანდელი პალატი უნდა გადაედგესო.

—

ავსტრი-ვენგრია.—ბოლოს დროს ავსტრია დიდ მზადებას შეუდგა ომისათვის. ვის დაეხმარება და ვის აუტეხს ომს? ამისი კი გადაწყვეტილად არავინ რა იცის. ეხლა იმისთანა დრო არის რომ, თითქო განგებ ისა სდება, რაც უფრო ძნელად დასაჯერებელი და მოულოდნელია. აბა იფიქრეთ, ვინ დაიჯერებდა, რომ ავსტრია ოსმალეთის წინააღმდეგობას გამოიჩენდა და სლავიანებს დაეხმარებოდა. აქამდისინ რუსის გაზეთები ძალზე ლანძღავდნენ და ათრევდნენ ავსტრიას, ის კი არა თუ ავსტრია ჩერნოგორიის დაცვას აპირობს ოსმალეთისაგან. „Новое Время"-ს კიდევ შურს, რომ ავსტრია ესარჩლება სლავიანებსა,—აბა სლავიანების განთავისუფლება რა ავსტრიის საქმეაო. ავსტრიის საქმეა თუ არა, ის კი ცხადია, რომ ავსტრიას ჩერნოგორიისა და სერბიის საზღვარზე, დიდი ჯარი გამოჰყავს და როგორც ავსტრიის გაზეთები ამბობენ,—იმიტომ რომ ჩერნოგორია დაიცვასო ოსმალების მიერ გაოხრებისაგანაო. ეს ყველა კარგი, მაგრამ თუ კი ავსტრიას ისე სტკივა გული ჩერნოგორიისათვის, მაშ სერბიას რაღად დაუშალა და უშლის კიდევ მიეხმაროს ჩერნოგორიას და თავის მხრით ომი აუტეხოს ოსმალეთს. აქ ასე გამოდის თითქო ავსტრია იმიტომ იმაგრებდა სერბიას, რომ ჩერნოგორიას საქმე გასჭირებოდა და მით მიზეზი მისცემოდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერისათვის. ყველამ კარგად იცოდა, რომ რაკი ოსმალეთი დარწმუნებული იქნებოდა სერბიის მშვიდობიანობაზე მარტოკა ჩერნოგორია ვერ აუვიდოდა ოსმალეთს, რადგანაც სერბიისაკენ გაყვანილი ოსმალოს ჯარი ამ მხრით თავისუფალი იქნებოდა და ჩერნოგორიას დაეცემოდა. ეხლა ჩერნოგორიის საქმე ძალიან ცუდათ მიდის. სერბია რომ დახმარებოდა, მაშინ საქმე იქნება სხვა რიგად წასულიყო, მაგრამ... სერბიას არ შეუძლიან დაეხმაროს და ამიტომ ჩერნოგორია ღვთის ანაბარზეა მიგდებული, და როდესაც სული ამოსძვრება, მაშინ ავსტრია გაუძღვება წინ თავის ჯარს და იტყვის, ეხლა კი ჩერნოგორიის აოხრების ნებას ვერ მოგცემთო. მაშ ავსტრიაც არა ყოფილა ისეთი სულელი, როგორიც ჰგონიათ: იმას არც არა ოსმალეთისა ენაღვლება რა, არც სლავიანებისა: იმას თავისი საკუთარი ჭირი უცვნია და იმის წამალს დაეძებს.

ზოგნი დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ შემთხვევას, რომ ავსტრიის ჯარი, რომელიც საზღვარზედ დგას და გალაშქრებასაც აპირებს, სლავიანებისაგან არის შემდგარი.

ეს სწორე მოგახსენოთ დიდი — არაფერია. მართალია ეს პირაფერი ნიშანია ოსმალეთისადმი თანაგრძნობისა, მაგრამ არც არა სლავიანებისათვის არის რამ. აქ მეტი არ იქნება მოგახსენოთ, რომ 1812 წ. ნაპოლეონ I მხედრობაში კროატის ჯარიც იყო. თუ იტყვით, რომ ეს დიდი ხნის ამბავია და მას აქეთ ბევრი კოკა წყალი დაიღვრილა, ამაზედ მოგახსენებთ, რომ მართალია ბევრი კოკა წყალი დაიღვარა, მაგრამ იმ კროატის ჯარს ერთი ცვარი იმ წყლისა მოხვდა თუ არა, ამისი კი რა მოგახსენოთ.

— ამბობენ, რომე როგორც რუსეთი ბოლგარიის განთავისუფლების გირაოდ დაიჭერსო, აგრეთვე ავსტრია ბოსნიას დაიჭერსო როგორც გირაოს, ვიდრე რუსეთი ბოლგარიიდამ არ გამოვაო.

ახლა თქვენ გამოიცანით ვისკენ არის ავსტრია.

**წვრილი ამბები.** — ერთი ინგლისის გაზეთი იწერება, რომ სტამბოლში იმ დასის კაცებს, რომელთაც მშვიდობიანობის ჩამოგდება სურთ თან და თან გავლენა ეკარგებათ. სამხედრო საბჭოში, რომელიც პირველ თიბათვეს იყო შეყრილი, ზოგიერთა წევრნი ძალიან მაგრად დამდგარან მშვიდობიანობაზე. მეჰმედ-რუშიდ-ფაშას უთქვამს თურმე, — ცხადიაო რომ ოსმალეთი სხვა სახელმწიფოისგან ადარასფერს შემწეობას არ უნდა მოელოდესო და აგრეთვე ცხადიაო, რომ მარტოკა ოსმალეთი ომს ვერ გაუძლებსო. გარდა ამისა მეჰმედ-რუშიდმა ჰსთქვა, რომ ევროპა უთუოდ გასწევს შუამდგომლობასაო, რადგანაც ერიდებაო საყოველთაო ომი არ ასტყდესო. იმას უთქვამს თურმე კიდევ, რომ ამისათვის შეიძლება რუსეთის უკანასკნელს მიწერილობას ხელი ჩავჭიდოთო და ტყუილ-უბრალოდ სისხლის ღვრას შევწყვიტოთო. ბევრი ულაპარაკნია მეჰმედ-რუშდის მშვიდობიანობისათვის, მაგრამ საბჭოს უმრავლესობა არ დათანხმებულა. ამბობენ, რომ მშვიდობიანობის დასის კაცებს დიდი იმედი აქვსთ გერმანიის ელჩისაო.—

— ერთს ინგლისელს გაზეთში ვენიდგან იწერებიან, რომ იქაურ ოსმალეთის ელჩს ალექო-ფაშას უთქვამს ანდრაშისთვის, რომ ოსმალეთის მთავრობას არა სჯერა სერბიის მშვიდობიანობა, რადგანაც, როგორც ისმის, სერბია დიდს მზადებაში არისო. ოსმალეთის მთავრობას ჰსურს ამ საგანზედ ავსტრიის აზრი შეიტყოსო. ანდრაშას უთქვამს თურმე, რომ რუსეთს არავითარი განზრახვა არა აქვს ომში სერბიაც ჩაურიოსო. გარდა ამისა მთავარი მილანიც დაჰპირებია ომს არ ავტეხო.

— 8 თიბათვეს რუმინიის სენატს არა ჩვეულებრივი სხდომა ჰქონია მის თაობაზედ, თუ როგორ უნდა მოიქცეს რუმინიის მხედრობა: და იმ გზას უნდა დაადგეს, რა გზასაც რუსეთის მხედრობა დაადგება, თუ არა, — და თუ რუსეთის მხედრობის გზას დაადგება, როგორ უნდა იმოქმედოს.

პალატის პრეზიდენტს, როზეტტის და სამინისტროს მოთავეებს, ბრატიანოს რაღაც უსიამოვნობა მოსვლიათ ერთმანეთში. პალატის პრეზიდენტს სამდურავი გამოუცხადებია ბრატიანოსათვის — რუსეთს ძალიან რათ უახლოვდებიო. ამ უსიამოვნობის გამო როზეტტი სამსახურიდამ გამოვიდა, მაგრამ პალატამ ხელმეორედ ამოარჩია როზეტტი თავის პრეზიდენტად.

— ამას წინად ბერლინში ორი დამატებითი არჩევანი იყო რეიხსტაგის დეპუტატებისა. ამ ომში ერთი სოციალ-დემოკრატი ამოირჩიეს (12 ათასმა კაცმა) და მეორე პროგრესისტი (ე. ი. იმ დასის კაცი, რომელიც აგრეთვე აწინდელის სამინისტროის მტერია). ამ არჩევანმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ნაციონალ-ლიბერალებს, რომელნიც აქამდისინ განსაკუთრებით უფლობდნენ გერმანიაში, ცოტად თუ ბევრად ძალა და გავლენა წართმევიათ.

— ერთს ავსტრიის გაზეთში იწერებიან, რომ რუმინიაც წინ წადგებაო და დუნაიზედ გადავაო. რუსეთი კისრულობსო რუმინიის მხედრობისათვის ხიდის ასაშენებლის მასალის მიტანასაო. რუსეთმა აგრეთვე მთავარის კაროლის სამხედრო უმოკიდებლობა აღიარაო.

---

ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტიროდა!
მის ცრემლი დამჭკნარს ვარდს დასდიოდა,
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა.
მოვიდა სხვა დღე, განჰქრა მის დარდი....
მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი;
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰკოცნიდა
და მე კი მანც ცრემლი მცვიოდა.

***

## ს... ჩ....სას

სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქის ფრთით,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ
სავსეს ეშხისა სიამით.

„დაჰსტკბი, გიჟო!—მეუბნები,
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგეს ბაგე ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული!“

თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც ჰსტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით მაშ რით დაჰსტკბეს
უიმედო სიყვარული!...

***

---

## წერილი ს. გურჯაანიდგან 6-ს თიბათვეს.

თიბათვის 4-ს შაბათს მშვენიერი დღე გათენდა; ყოველი სულდგმული შეჰხაროდა სუნნელებით აღსავსე ბუნებას: გლეხი მხნავ-მთესველი ყელმოღერებით, დარბაისლურათ გამოიყურებოდა კომლისგან შეჭვარტლულის თვალებითა მოსავლის პირით ზურგ-გამაგრებული,—მებადე იმერული ჩიბუხის ბოლის პირიდგან შვებით დეჭვით ლაპარაკობდა ყველასთან—მე სახვეწარი არავისთან არა მაქვს რაო. თავადის შვილნი სხვა და სხვა ოცნებათა მიერ მობურვილის პირის სახით და ყურთმაჯებ მხარზედ გადაყრილნი სეირნობდნენ ხან აქეთ და ხან იქით;—ვაჭარი კაცი ხელში კრიანოსნით და მუცელ გადმოგდებით დაბაჯბაჯებდა თავის დუქნის წინ—წრეულ ყველა ნისია გამინაღდდებაო. ყველ ამ, სხვა და სხვა სახსრით მცხოვრების, სიხარულის მიზეზი იყო მოსავლის მშვენიერი პირი. მშვენიერი დღე იყო 4-ს თიბათვეს. და ამ დღემ ჩამოაფარა დაღონების ფარდა იმ სხვა და სხვა მოსაქმე გვამთ პირის სახეს. მშვენიერი დარი იყო ოთხ თიბათვეს. შუადღის შემდეგ მეხუთე საათის ნახევარზედ დასავლეთი შავათ მოიღრუბლა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ერთ წუთში ცა ჩამობნელდა ზღვასავით მღელვარე ღრუბლით. უცებ წამოუშინა მსხვილმა წვიმამ, რომელსაც მოჰყვა ყველა მცენარეობის დამმასახიჩრებელი, მტრედის კვერცხის სიმსხო სეტყვა, რომელმაც გაანადგურა ყანები და უფრო ვენახები—გურჯაანში, ვეჯინში, ბაკურციხეში, კარდანახში, ანაგაში, გაქირში, საქობოში, მაჩსაანში და ვინ იცის კიდევ რამდენგან. ბევრგან ვაზი სრულებით გაატიტვლა—არც ფოთოლი შეარჩინა და არც რქა. ყანები მიწის პირათ დასცა, ბაღეულობა მირიანათ ამოაგდო. ეს ამაოხრებელი სეტყვა ცვიოდა ციდან ნახევარ საათის განმავალობაში.

დაღონდა ყველა, ყველა ოხვრას მოჰყვა ვაჭრის მეტი—მე არა წამხდენია რაო. ყველაზედ ძრიელ გლეხი დაღონდა..... იგი ამ ერთ კვირაში ნამგლის ჩხაკა-ჩხუკით და ტრიალით მიდიოდა მინდვრისაკენ, 4 თიბათვის შემდეგ კი მკლავზედ ნამგალ გადაგდებული და პირის სახეზედ დაღონების ბეჭდით მიეშურება ყანებისკენ—რაც დარჩა ის მაინც დროით მოვმკო, რომ ისიც ხელიდამ არ გამომეცალოსო.

წარმოიდგინე, მკითხველო, გლეხების დაღონება, მათი სულიერი მდგომარეობა 4 თიბათვის შემდეგ: წლის ნამუშავარი, მზათ მზად შემუშავებული და ახირებულათ მსხმოიარე ვენახები ერთ დღეს გაჰქრა.

— ეს ერთი კვირაა გავარდა ხმა ლეკებმა შილდა და ყვარელი გადასწვესო და ალაზანს მაღე გამოვლენო. ზედაც მოვიდა ამბავი ყადორის მთიდან ლეკებს ორმოცდა ათი ფარა ცხვარი წაუსხამთო. ამ ხმებმა ტყუილათ არ ჩაიარეს: რამდენიმე სოფელი თურმე გახიზნულა. მაგ. ს. ველისციხიდამ ხალხი გახიზნულა ჭერემის მთაში; ცოლხობას სიღნაღისთვის მიუტანებია. ამბობენ ბაქრაძეს ლეკები ერთ ხევში მოუმწყვდევიაო. აქ დღე-დღეზედ მოელიან კზ. დერენსალ ანდრონიკოვს.

პ. ცხვილოელი.

1877 წ. 7 თიბათვეს.

---

## ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*)

(დასასრული).

ამ ხალხთა განხილვისაგან ჰსჩანს, რომელ ტაოელნი და ისპირის ხეველნი, სომეხთა სპერი,—შეადგენდნენ კლარჯეთის საერისთაოსა, ეკუთვნოდენ ნათესაობით სა-

*) „ივერია“ № 16.

ქართველთა ხალხსა, იწოდებოდნენ, ახლაც იწოდებიან მესხად. კლარჯეთის საერისთოს აწცა ოსმალნი უხმობენ გურჯისტანად. ე. ი. საქართველოდ; ხალიბები, სტრაბონის დროს იწოდებოდნენ ხალდად და არა ქალდეველად. ხალიბი ან ხალდი და ჭანი ერთი და იგივე ხალხია. ესე ჰსჩანს, პირველად ვიზანტის მწერალთაგან, რომელნიც გვაჭეშმარიტებენ რომელ ჭანნი იყვნენ ხალდიის მოსახლენი (1); მეორედ: მოსე ხორენაცი, რომელიც მოგვითხრობს, რომელ რომის იმპერატორი ტაციტი იყო მოკვდინებული ჭანეთში ან გასტეკაში, ე. ი. ხალდეაში (2); აგრეთვე სომეხთა მწერალი ეგიშე ამტკიცებს ზემოხსენებულსა (3). მესამედ: ძველნი მწერალნი, მეტადრე ქსენოფონტი (4) და არიენი (5), მთელს ზღვის ნაპირსა, რომელიც ეჭირა პონტოს სამეფოსა, უწოდებენ კოლხიდად. როგორცა ჰსჩანს მოსეს ხორენაცის ღეოღრაფიისაგან, კოლხიდა ან ეგერი განიყოფებოდა ოთხ თემად: მაგნედიხი, პტოლომეას მანრალია ან აწინდელი სამეგრელო; ახრიუგა ანუ არგვეთი ან იმერეთი; ლაზივი ანუ გურია და ჭანივი ანუ ჭანიკა ან ტრაპეზუნის პაშალიკი (6). ევროპიელნი ჭანებს უწოდებენ ლაზებად. ლაზები, როგორც ჰსწერს პლინი, არიენი და საკუთრად ვიზანტიის მწერლები, ჰსცხოვრებდნენ აწინდელს გურიაში. ლაზებმა მეოთხე და მეხუთე საუკუნეში დაიპყრეს იმერეთი და სამეგრელო და შეადგინეს ერთი სამეფო, რომელსაც ერთის მხრით ვიზანტიელები და მეორეს მხრით სპარსნი ერთმანერთს ეცილებოდნენ და ჰქონდათ ას წლამდი ბრძოლა. ლაზისტანსა სამხრეთის სამზღვრის ნაპირზედ ჰქონდა პეტრეს ციხე (ქაჯთა ციხე ქართველთა) ქობულეთში. (7). ლაზი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მეკობრესა ან ავაზაკსა.

ხალხის სახელები, რომელნიც ამის ზევით მოვიხსენეთ, არიან ან ქართულნი: ვითარ ისპირელი, ტაოელი, ჭანი, მესხი,—ან ბერძნულნი, ვითარცა ხალიბი, ხალდი, მოსინავი, მაკრონი, მაკროცეფალი, ხეპტაკომიტი, ტიბარენი ან თობალი.

ქართულნი სახელები აქამომდე დარჩნენ შეუცვლელად, გარნა ბერძნულნი დროთა ვითარებისაგან განჰქარდნენ.

მთელს აწინდელი ტრაპეზუნდის პაშალიკი დასახლებულია ჭანებითა.

აქა ჯერ არს შენიშნვად, რომელ აწცა მრავალნი სახელნი მთათა, მდინარეთა, ქალაქთა, დაბათა ტრაპეზუნის პაშალიკში არიან ქართულნი, ვითარცა: ნაჭილობევის მთები საშუალ პონტოს სამეფოსა, თემი ყომურა (ყამურა) ტრაპეზონის დაბლა; გომიში (კამბეჩი მეგრულად) სადაც ვეცხლის ქანია; ქაჯთ კარი (მთა), გაცურის მთა; ჭალა, მთა ქალაქის კერასუნის მახლობლად; ნებიანი მთა ბაიფრას ქალაქის ახლოს; ქურდბელი, მთა ქალაქის ნიკსარის მახლობელ; თავშავის მთა, მდინარის კიზილერმაკის მახლობელ; ჭალისის მდინარე ან ალაზანი ირისეს მდინარე და სხვანი მრავალნი.

ზემოხსენებულის განხილვისაგან ჰჩანს რომ ყოფილს პონტოს სამეფოში ან აწინდელს ტრაპეზონის საფაშოსში მკვიდრნი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთაც ენა სრულიად ემგზავსება მეგრელთ ენასა. დასამტკიცებლად ჩვენისა აზრისა, განვიხილოთ ღრამმატიკული მწყობრი ორივე ენისა. ვალად ვრაცხ აქ გამოცხადებასა რომ ჭანურის ენის ღრამმატიკის კანონები გამომიგზავნა მე პატივცემულმან თავადმა გრიგოლ დავითისძემ გურიელმა, რომელმან არ რიდა შრომა და თავს დადებით და გულმოდგინებით მისცა წარმართება აღსახსნელად ჩვენისა წინადადებისა.

ნაცვალ სახელი ყოველს ენაში არის უპირველესი სიტყვა, რომელიც განჰკარგავს როგორც სიტყვის სახელსა ისე ზმნასა. ქართულს ენასა აქვს ორ გვარი პიროვანი ნაცვალ-სახელი, პირველი კერძოობითი, ვითარცა: მე, შენ, ის, იგი, მან, ჩვენ, თქვენ, იგინი, ისინი, მათ,—და რთულნი ზმნათა თანა: ვჰ, ვა, ვი, ვუ, ვე, მ, მა, მ. პირველსა და მეორეს პირთა კერძოობითა ნაცვალ სახელთა არა აქვსთ განკლედობა. ჩემი, რომელიც მოუღიათ ჩვენის ღრამმატიკის მწერალთა, ვითარცა ნათესაობითი ბრუნვა, არ იხმარება როგორც ნათესაობითი ბრუნვა, არამედ ვითარცა სახელობითი ბრუნვა, რომლისა ნათესაობითი არის ჩემისა, მიც. ჩემსა, მოქმ. ჩემითა და სხ.

---

(1) სტრიტერის მატიანე ხალხთა ტ. 4. გვ. 229.

(2) მოსე ხორენ. თარგმანი ემინისა, გვერდი 127.

(3) რუსული ნათარგმნი შანშიევისა გვ. 127, ფრანცუზ. ნათარგმნი დულორიესი, გვერ. 209.

(4) გამოცემ. გოფმანისა გვერდი 5.

(5) ქსენოფონტი წიგნი 4. 5 და 6.

(6) ს. მარტენის ნათარგმნი ტ. 2 გვ 357.

(7) არიენის გამოც. გოფმანისა გვ. 55; მატიანე ხალხთა სტრიტერისა ტომი 4 გვ. 224.

აგრეთვე შენი არ არის პირობითი ნაცვალ სახელი, არამედ მოგებითი. ჩვენი ენა შეადგენს ერთს დარგსა ინდოევროპიულის ენებისას, ძალიან ძველია და შეცვლილი დროთა ვითარებისაგან. სპარსული და სომხური არიან უახლესნი ვიდრე ქართული და ამის გამო ცოტად შეცვლილნი არიან. თალიშინის ენაში(1), რომელიც მონათესავეა სპარსულის ენისა, ვჰპოვებთ პიროვანს ნაცვალს სახელსა მე; ეს ნაცვალ სახელი თქმულს ენაში არის აგრეთვე შეუცვლელი და არა მქონი ბოლოს ცვლილებისა; დასანიშვნელად ნათესაობითის ბრუნვისა თალიშნელები უმატებენ თანდებულსა ჩე, რომლითაც შესდგება ჩემე და ჩემი; მსგავსადვე შესადგენად მიცემითის ბრუნვისათვის უსმენ სხვას თანდებულსა, რომელსა ბი და შეადგენენ ბიმე. აგრეთვე ფრანციულს ენაში პიროვანს ნაცვალ სახელსა, სრულიად მსგავსისა ქართულის, რომელსა მე(me). მოა(moi) არ შეიცვლის ბოლოსა, და დასანიშნავად ნათესაობითისა ან მიცემითის ბრუნვისა ხმარობენ სხვა და სხვათა თანდებულთა. ნაცვალ სახელი ჩემზედ, ჩემთან, მიიღებს მნიშვნელობასა ნათესაობითის ან მიცემითის ბრუნვისას; ნაცვალ სახელი მესამეს პირისა ის, ეს, ეგ, იგი, მრავლ. ისინი, ეგენი, იგინი, აგრეთვე არიან შეუცვლელნი, გარნა ნაცვალსახელი მან, იმან (შემოკლებით იმ), არის ცვლადი: ნათ. მის, მიცემ. მას; მრავლობ. მათ. აგრეთვე მეგრულს და ჭანურს ენაში თქმულნი ნაცვალსახელნი არიან უცვალებელნი: მე მეგრ. და ჭანურ. მა, ჩვენ მეგრ. და ჭან. ჩქუ; შენ, მეგრ. და ჭანურ. სი; მრავლ. თქვენ მეგრ. და ჭანურ. თქვა. მესამე პირი იმ, იმან, მეგრ. და ჭან. ჰუმ, ნათესაობ. მისი, მეგრ. და ჭანურ. ჰემიში; მიცემ. იმას, მეგრ. და ჭანურ. ჰიმუშა; ისინი, მეგრ. და ჭანურ. ჰიმი; ნათეს. და მიცემ. იმათ, მეგრ. და ჭანურ. ჰინისა; მოგებითი ნაცვალსახელი ჩემი, მეგრ. და ჭანურ. ჩქიმი; მრავლ. ჩვენი, მეგრ. და ჭანურ. ჩქინი; შენი, მეგრ. და ჭანურ. სქანი, თქვენი, თქვანი; იმისი, ან ემისი მეგრ. და ჭანურ. ემუში; რა, მეგრ. და ჭანურ. მუ და სხვანი.

რთულნი ნაცვალ სახელნი, რომელნიც მოზავებიან ზმნათა მაპიროვნებლად, იხმარებიან ან მარტივად, მაგ. ვჰ, ვა (ვჰსწერ, ვზომ, ვაური); ან შერთვით, როდესაც ორნი ნაცვალ სახელნი შეერთდებიან, მაგალ. ვი, ვუ (ვიწერ, ვიზომ, ვუწერ, ვუზომ); ვი შედგების ორის ნაცვალ სახელისაგან ერთი ვ, მეორე ი მაგალ. ვიშენებ, შენებას აღვასრულებ ჩემთვის, ჩემს სასარგებლოდ; აგრეთვე ვუ, შედგების ორის ნაცვალ სახელისაგან ვ პირველის პირისა და უ მესამე პირისა, მაგალ. ვუშენებ. ე. ი. სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ. ნაცვალ სახელი უ იპოვების სპარსულს ენაშიაც, აქედამ ჰსწარმოებს რუსული онъ, და ფრანციული on; ამ გვარი ნაცვალ სახელები იპოვებიან მეგრულში და ჭანურს ენაში. მაგალ. ვჰსწერ; მეგრ. და ჭანურ. ვჰჭარუ; ვიწერ, მეგრ. და ჭანურ., ვიჭარუ; ვუწერ, მეგრ, და ჭანურ. ვუჭარუ.

მიმოხვრა ზმნისა წერა, მეგრ. და ჭანურ. ჭარუა

ა წ მ დ გ ო მ ი:

ქართული; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს; ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერენ.

მეგრული: ვჭარუ, ჭარუ, ჭარუნს; ვჭარუნთ, ჭარუნთ, ჭარუნა.

ჭანური: ვჭარუმ, ჭარუმ, ჭარუმს; ვჭარუმთ, ჭარუმთ, ჭარუნა.

ს რ უ ლ ი:

ქართული: ვჰსწერე ჰსწერე, ჰსწერა; ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერეს.

მეგრული. ვჭარი, ჭარი, ჭარუ; ვჭარით, ჭარით, ჭარეს.

ჭანური. ვჭარი, ჭარი, ჭარუ; ვჭარით, ჭარემტით, ჭარეს.

მიმოხვრა ზმნისა ვარ, მეგრულ. და ჭანურ. ვორე.

ა წ მ გ ო მ ი:

ქართული· ვარ, ხარ, არს; ვართ, ხართ, არიან.

მეგრული. ვორე, ორექ, ორე; ვორეთ, ორეთ, ორენა.

ჭანური. ვორე, ორე, ონუ; ვორეთ, ორეთ, ორერან (თავ. გურიელის გრამატიკა.)

ჭანური. ბორე ქორე, ქორენ; ბორეთ, ქორეთ, ქორენან., (როზენის გრამატიკა.)

ს რ უ ლ ი;

ქართული: ვიყავ, იყავ, იყო; ვიყავით, იყავით, იყვნენ.

მეგრული: ვორდი, ორდი, ორდუ; ვორდით, ორდით ორდეს.

ჭანურად: ქობორტი, ობორტი, —; ქობორტით, ქორტით, ქორტეს.

განკლედობა სახელისა ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურად დალ.

წრფელ. ტყე, მეგრ. ტყა, ჭანურ. დალ; ნათეს. ტყისა, მეგრ. ტყაში, ჭან. დალიშ; მიცემ. ტყესა, მეგრ. ტყას, ჭან., დალიშა; მოქმ. ტყითა, მეგრ. ტყათ, ჭანური, დალითე; მრავლ. წრ. ტყეები, მეგ. ტყეეფი, ჭანურად დალეფე; ნათეს. ტყეებისა, მეგრ. ტყეეფის, დალეფეში; მიცემ. ტყეებსა, მეგრ. ტყეფს, ჭანური, დალეფეშა; მოქმ, ტყეებითა, მეგრ. ტყეფით; ჭან. დალეფეთე.

(1) Записки Кавк. Общества кн. 3-тая.

რიცხვითი სახელნი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი.
მეგრული, — — ართი, ჟირი, სუმ, ოთხი, ხუთი, ამშვი.
ჭანური, — — არ, ჟურ, სუმ, ოთხუ, ხუთ, აშ.
ქართული: შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი, ათასი.
მეგრული, შქვითი, რუო, ჩხორო, ვითი, ოში, ათასი.
ჭანური, შთვიდი, ორვო, ჩხორო, ვით, ოში, შილია.

ამ მცირე გაშინჯვითა ჰჩანს, რომ ჭანური ენა მალიან ემსგავსება მეგრულსა. დასასრულს ეს უნდა ვჰსთქვა, რომელ საქართველოს ხალხი მკვიდრობდნენ და აწცა მოსახლენი არიან, ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიასა, საწინდელს ტრაპეზუნის საფაშოში და უჭირავთ შავი ზღვის ნაპირი კოდორის შესართავიდამ ვიდრე შესართავამდე კიზილერმაკისა და იყვნენ ძველს დროში უპირველესნი ხალხნი, ჩინებულნი და ღირსნი შესანიშნავად.

დავით ჩუბინოვი.

---

## მედროშე

(მოთხრობა ალფონს დოდესი.)

### I.

ჩვენი ერთი გუნდი ჯარისა იბრძოდა რკინისგზის ფერდობებზედა პირის-პირ პრუსიელების მთელის ლაშქრისა, რომელიც პირდაპირ ჩასაფრებული იყო ტყეში და ჩვენი გუნდი კი წინ ედგა როგორც სასროლი ნიშანი. ისე ახლო ესროდნენ ერთმანერთსა, რომ მათშორის რაღაც ოცდა ათი ნაბიჯი მანძილი თუ იქნებოდა. აფიცრები დადიოდნენ და სულ ამას იძახდნენ: „მიწაზედ წაწექით, მიწაზედ!“ გარნა ამ ბრძანებას არავინ ემორჩილებოდა: ჯარის-კაცნი სულ ერთიანად მიიწევდნენ დროშისაკენ და მის ახლო გროვდებოდნენ თავგამეტებითა. ეს თოფის კვამლში შეხვეული აფორიაქებული გროვა ხალხისა იმ ყანებ და მინდვრებს შორის, რომელთაც ჩამავალი მზე ნათელს ჰფენდა,— ჰგვანდა ერთს რასმეს ფარასა, რომლისათვისაც ტრიალს მინდორზედ საშინელს ჰექა-ქუხილს მოუსწრია.

ისეთი საშინელი სროლა იყო, თითქო ტყვიის წვიმა მოდის იმ ფერდობებზედაო. ჰაერში ისმოდა ჰექა სროლისა, დამაყრუებელი ქუხილი ყუმბარისა, რომელიც გორვით ხევში ცვიოდა; ტყვია ზუზუნებდა ყოველის მხრიდამ, როგორც გაჭიმულის რაღაც უცნაურის და გრძნეულის საკრავისა. ზოგჯერ, დროშა, მოფარფარე ჯარის-კაცთა თავთა ზემოდ და მოფრიალე ყუმბარის ქარისაგან, დაიმალებოდა ხოლმე თოფის წამლის ბოლში. მაშინ ისმოდა ზარიანი და რიხიანი ხმა; ის ხმა უფრო ისმოდა ვიდრე სროლის ხმა, ვიდრე დაჭრილების კვნესა-წყევლის ხმა: „დროშას მიეშველენით, ყმაწვილებო, დროშას!“ ამ ხმაზედ ერთი აფიცერი შევარდა კვამლში და იმ ვაჟკაცობის სულდგმულმა დროშამ ხელახლად დაიწყო ფრიალი საომარს მინდორზედა.

ოცდაორჯერ დაეცა დროშა იგი!... ოცდაორჯერ გავარდა იგი ხელიდამ ტყვიით მოკლულს მედროშესა და დროშის ტარი ჯერ კიდევ თბილი ყოფილა ხელში ჰერისაგან, რომ მსწრაფლ მივარდნია სხვა ჯარის-კაცი და თამამად აულია სალსა და ძლიერს ხელში. ბოლოს როცა მზე ჩასვლაზედა იყო და თითო ოროლად გადარჩენილთა ჯარის-კაცთა ომი შეჰსწყვიტეს და უკან დაიწიეს, მაშინ დროშა იგი პატარა ნაფლეთსაღა ჰგვანდა. იგი ეჭირა ხელში სერჟანტს *) ჰორნუსსა, იმ დღის მეოცდა მესამე მედროშეს.

### II.

სერჟანტი ჰორნუსი არ იყო ჭკვით გამოსაჩენი ბერი კაცი; იგი თავის სახელის მოწერასაც ძლივს ახერხებდა. ოცი წელიწადი ჰსწევდა თვისის სამსახურის უღელსა და ძლივს ეღირსა სერჟანტობა. ყოველი უბედურება თავ-განებებულის ობლობისა, მძიმე და უსიხარულო ცხოვრება ჯარის-კაცისა— ზედ ეჩნეოდა მის პატარას შეჭმუხვნილს შუბლსა, მის გუდის სიმძიმით მოხრილს ტანსა და დასასრულ მის უცნაურს სიარულსა. იგი ცოტად ენას უკიდებდა, ენა ბრგვილი იყო, მაგრამ დროშის მატარებელს რად უნდა მჭევრ-მეტყველება. იმ ომის დღესვე უფროსს ეთქვა ჰორნუსისათვის: „დროშა ეხლა შენ გიჭირავს: ვინძლო კარგად უპატრონო.“ იმავე წამს ჯარის ქალმა (**Миркитантка**) დაულანდა ოქრომკედის ჩაფარიში მის ძველსა სამხედრო წამოსასხამზედა, რომელიც წვიმისა და ცეცხლისაგან გახუნებული იყო. მისის მიწასთან-გასწორებულის ცხოვრებისათვის დროშა იგი შეიქმნა სიქადულად. საბრალო ბერიკაცი ჩვეულ იყო ტანში მოხრით სიარულსა და თვალებიც სულ ძირს ეჭირა ხოლმე. ხოლო, როცა დროშა ჩაიბარა,

---

*) უნტერ-ოფიცერის მაგვარი.

თითქო გადახალისდაო: ტანშიაც გაიმართა, გაბედვითაც დაიწყო სიარული, თვალებიც მაღლა გაფარფარებულ დრო'შაზედ ჰქონდა ხოლმე მიქცეული და თვით დროშა ისე სწორედ და მაღლა ეჭირა, რომ იგი მომკვდავეთა სასხსნელად ყოფილიყო და მფარველად ღალატისა და მარცხისაგან.

როცა ომის ცეცხლის დროს ჰორნუსს ხელთ ეპყრა ტყავის ბუდეში კარგად შეხვეული დროშა, ძნელად თუ ამაზედ ბედნიერს კაცს წარმოიდგენდა ვინმე. იგი ვიდოდა ხმა გაკმენდილი, მდუმარედ, უკან მიუხედავად და ისეთის სასოებით და თაყვანებით მიჰქონდა დროშა, ვითარცა მღვდელს ბარძიმფეშხუმი. ისე მკვიდრად ეჭირა ხელში ის მშვენიერი სამფეროვანი დროშა, თითქო რაც სიცოცხლე და ღონე აქვსო სულ თითებში მოუკრებიაო, მის ახლო ზუზუნით მოდიოდა ტყვია, მაგრამ იგი თვალ დაუხამხამებლივ პირდაპირ შეჰყურებდა პრუსსიელებს, თითქო ეუბნებაო: „აბა თუ კაცნი ხართ, მოხველით და წამართმევთო.“

ხოლო იგი ვერავინ ვერ წაართო, ასე გასინჯეთ, თვით სიკვდილმაც კი. დროშა იგი გადურჩა ბორნის ომსა, გადურთა გრაველოტის ცეცხლსა, გადურჩა საშინელთა სიკვდილით-მოსილთ ბრძოლათა. მართალია, თუმცა სრულიად დაიფლითა და დაიხვრიტა ტყვიისაგან, მაგრამ მაინც კიდევ ბევრკაცს ჰორნუსს ეჭირა ხელში და თამამად დაჰქონდა ხოლმე.

## III.

დადგა ენკენისთვე. ლაშქარი მეცთან იყო. მტერმა ალყა შემოარტყა გარს. ამოდენა ხალხი გაჩერებული იყო ბანაკად წვიმისა და ავდრის ქვეშ ლაფში, საცა ქანგი ეკიდებოდა ზარბაზნებსა, საცა მთელს ქვეყანაზედ გათქმულს ჯარსა უსაქმობისა და უჭმელობისაგან ღონე-მიხდილსა უწყალოდ ჰხოცდა ციებ-ცხელება, უქმობა და გვერდით კი ელაგა აუარებელი რიცხვი რიგიანის თოფ-იარაღისა, როგორც უფროსთა, აგრეთვე დაბალთ ჯარის-კაცთაც დაეკარგათ ყოველივე იმედი და წარეკვეთათ სასოება. მხოლოდ ერთი ჰორნუსიღა იმედეულებდა: ყოვლად მსხნელი იმედი მისი ის ნაფლეთი იყო სამ-ფეროვანის დროშისა. მას ეგონა, რომ რაკი ეგ არის, იმედიც დაკარგული არ უნდა იყოს. მისდა საუბედუროდ, ლაშქარს არ აომებდნენ და ამის გამო დროშა იგი რაზმის უფროსსა ჰქონდა შენახული თავის სადგომში, მეცში. მაშინ ბებერი ჰორნუსი ჰგვანდა სწორედ დედასა, რომელსაც თვისი შვილი უცხო დედა-კაცთანა ჰყავს გაბარებული. იმის ფიქრი სულ ის დროშა იყო, და როცა მის უნახაობით სევდა რამ გულს მოაწვებოდა, ბანაკიდამ მეცში ქვევითად წავიდოდა ხოლმე დროშის სანახავად და ვიდრე გულს არ დააჯერებდა, რომ იგი უვნებელად აყუდებულია იმავ ადგილას კედელთან, უკან არ დაბრუნდებოდა. ეგ ნახვა გაამხნევებდა ხოლმე, გულს დაუწყნარებდა. მერე ბრუნდებოდა თავის უსიხარულო კარავში და მიეცემოდა ხოლმე ოცნებას ბრძოლაზედ და მასზედ თუ როგორ დაიწყობს ფრიალს პრუსსიელთა სანგალზედ მისი საყვარელი სამ-ფეროვანი დროშა.

ხოლო მარშალ ბაზენის ბძანებამ სრულად ჩაფუშა მისი ოცნება. ერთხელ დილით თვალი გაახილა ჰორნუსმა თუ არა, ნახა მთელი ბანაკი ფეხზედ წამომდგარა და ხმაურობს. ჯარის-კაცნი ბუზსავით ირეოდნენ და გულგამწყრალნი და გაცოფებულნი ყვიროდნენ ერთს მხარეს პირ-მიქცეულნი, თითქო დამნაშავეებს თვალ-წინ ხედვენო: „უნდა დავიჭიროთ ის და თოფით დავხვრიტოთ.“ ჯარის უფროსნი ჯარის-კაცებში არ ერეოდნენ..... იმათ მხარი აექციათ ჯარის-კაცებისათვის და თავჩაკიდულნი მიდიოდნენ, თითქო ჰსცხვენოდათ თვისთა ჯარის-კაცთაგან. და სწორედ სამარცხვინო საქმეც იყო! ას ორმოცდა ათი ათასს კარგათ შეიარაღებულს ჯან-მრთელს კაცსა ის-ის იყო გამოუცხადეს, რომ უომრად მტერს ტყვედ უნდა მიეცნეთო.

— „მერე დროშები-ღა?“ იკითხა გულ-გადაფითრებულმი ჰორნუსმა.

დროშებიც და მასთან ერთად თოფი, იარაღი და ყოველი სამხედრო ნივთეულება ლაშქრისა მტერს უნდა ჩააბარონო.

— „ა-რ-რ-რ-აო! დაიყვირა ენა დამბით საბრალო ბერი-კაცმა. იგინი ვერ მიიღებენ ჩემს დროშასა.“ და მსწრაფლ გაექანა მეცისაკენ.

## IV.

მეცშიაც დიდი ღელვა და ჩოჩქოლი იყო. ერის გვარდია, მოქალაქენი, მობილები ჰყვიროდნენ, შფოთავდნენ, ხოლო ჰორნუსი არც არაფერს ჰხედავდა, არც არაფერი ესმოდა. იგი თავის-თავს ესაუბრებოდა, ქუჩა ქუჩა მიმავალი და სულ ამას იძახდა: „რაო? მე დროშა უნდა წამართვან!...დიახ, როგორ არა!...ვის შეუძლიან. ვის!....განა მაგას გაბედავს ვინმე!...დეე პრუსიელებს ის მისცეს, რაც თვითონ ეკუთვნის: თავისი ოქროს ეტლები, ის თავისი მშვე-

ნიერი სამკაული სუფრისა, რომელიც მექსიკიდამ წამოუღია!...ეგ დროშა კი ჩემია, ჩემი!...ეგ არის ჩემი ღირსება!...ეგ არის ჩემი კაცობა!...მინამ ცოცხალი ვარ ხელს ვერავინ ახლებს...."

სიარული და ენის დაბმა ამ ნაწყვეტს სიტყვებს უფრო ჰსწყვეტდა. მაგრამ მაინც რასაც ბერი-კაცი ამბობდა, იმაში აზრი იყო, აზრი ცხადი და განსაზღრული: დროშას ხელში ავიღებო, ჩემის რაზმიდამ ვაჟკაცთა შევყრიო და მათთან ერთად პრუსიელების ლეშებზედ გადვივლითო და თავს გავიტანთო.

მეცში მივიდა რაზმის უფროსის სადგომს ხოლო გულგამწარებული უფროსი თავისთან არ ვის უშვებდა და არ ვის ინახულებდა. მაგრამ ჰორნუსს კაცი ეგრე ადვილად ვერ მოუჩრებოდა. იგი ყვიროდა, იგინებოდა,გუშაგს მუჯლუგუნსა ჰსცემდა.... „ჩემი დროშა....მე ჩემი დროშაა მინდა...."იძახდა უბედური ბერი-კაცი.

ბოლოს უფროსმა ფანჯარა გამოაღო და გადმოიხედა.

— ეგ შენა ხარ, ჰორნუს?

— „დიახ, ბატონო, მე გახლავარ..."

— „სულ რაც დროშებია, თოფ-ხანაშია....იქ წადი: ბარათს მოგცემენ!"

— „ბარათიო? ბარათი რად მინდა?..."

— „ეგრე ბძანა მარშალმა."

— „მერე, ბატონო? ...

— „მომშორდი, შენი თავი არა მაქვს"! ჰსთქვა ეს უფროსმა და მოაჯახუნა ფანჯარა.

ბებერი ჰორნუსი წაბარბაცდა, როგორც მთვრალი კაცი.

„ბარათი....ბარათი...." ბუტბუტებდა იგი უაზროდ.

ბოლოს დაიძრა ადგილიდამ და გასწია მარტო ესღა ჰქონდა ფიქრში, რომ დროშა თოფ-ხანაშია და რაც უნდა მოუვიდეს, იგი იქიდამ უნდა გამოიტანოს.

## V.

დიდი ალაყაფის კარები თოფ-ხანისა ღია იყო. მის ქვეშ გადიოდნენ პრუსიელების „ფურგონები" და მერე ეზოში მწკვრივად დგებოდნენ. ჰორნუსი რომ შედიოდა კარებში შეკრთა. დანარჩენნი მედროშენიც სულ აქ იყვნენ მოგროვილნი. ხმა გაეკმინდათ და შეწუხებულნი იდგნენ. ეს შავად შეღებილი ფურგონები და მათ უკან მიმდევნი ჯარის კაცნი ქუდ-მოხდილნი, სწორედ მკვდრის დამარხვის მოწყობილობას ემგზავსებოდა.

ერთს უწმინდურს კუთხეში თოფ-ხანისაში ერთად შეეგროვათ ბაზენის მხედრობის დროშები. ეს აბრეშუმის ჭუჭყიანი ნაფლეთები, ოქრო-მკედის ფოჩების ნარჩენები, დროშის ტარის ნატეხები, ყველა ეს ვაჟკაცობის სულ მდგმელი ნივთები, გალაფიანებული წვიმისა და ტალახისაგან, გულსაკვდავს სანახაობას წარმოადგენდა.

ერთი ჯარის უფროსი აიღებდა ხელში დროშას და იძახდა იმ რაზმის სახელსა, რომელსაც დროშა ეკუთვნოდა. მაშინ რაზმის მედროშე უნდა მისულიყო მასთან და ბარათი ჩამოერთმია. ამ ბარათის მიცემას დინჯად და შეუბრალებლად თვალყურს ადევნებდნენ ორი პრუსიელი აფიცერი.

ამ გვარად წარხდნენ იგი უწმინდესნი სახელოვანი ფლასნი. ტყვიით დაფლეთილნი და დახვრეტილნი გულსაკვდავად თრევით მიჰქონდათ იგინი, როგორც ფრინველს მოტეხილი ფრთა მიაქვს ხოლმე. წარვიდნენ იგინი, მოსილნი წმინდანის შეგინების მძიმე სირცხვილითა, წარვიდნენ და ყოველს მათგანს თან მიჰქონდა ნაწილი საფრანგეთისა.

თქვენს გახუნებულს ნაკეცებზედ მზემ დაასვა სამარადისო ბეჭედი! ტყვიის ნაკრავს ადგილებში თქვენ ინახავთ სახსოვარს იმ დავიწყებულთ მეომართა, რომელნიც თქვენს ჩრდილს ქვეშ დაიხოცნენ!

— „ჰორნუს! ეხლა შენი რიგია ...შენ გეძახიან.. .წადი ბარათის მისაღებად...."

თითქო საქმე იმაში იყო, რომ მარტო ბარათი მიეღო!....დროშა იქავ იყო, მის წინ. ეგ იყო მისი დროშა, ყველაზედ უკეთესი, ყველაზედ უფრო ტანჯული და დიდ ცეცხლში გამოტარებული.....თვალი მოჰკრა თუ არა, საბრალო ჰორნუსმა, მოეჩვენა, რომ ვითომ ისევ იქ.—ომშია ფერდობებზედა, მას თითქო მოესმა კიდეც ტყვიის ზუზუნი, ყუმბარების გრიალი და უფროსის ზარიანი ხმა: „დროშას, მიეშველენით, ყმაწვილებო, დროშას!" მერე წარმოუდგა, რომ ოცდა ორი მისი ამხანაგი მიწაზედ ჰყრიან დახოცილები და თვით მეოცდა მესამე ჰივარდა და აიღო ხელში საბრალო დროშა, რომელიც ძირს ეგდო უკაცობისაგამო. ოხ, იმ დღეს ფიცი დასდვა, რომ თავს მოიკლავს ამ დროშისათვის და სიკვდილამდე, არავის არ დაუთმობს. ეხლა კი....

ამ სიტყვაზედ სისხლი თავში აუვარდა. გონება მიხდილი ეცა პრუსიის აფიცერსა, გამოჰგლიჯა

ხელიდამ თავისი საყვარელი დროშა და მაგრად მიიკრა გულზედ.....მას უნდოდა ერთხელ კიდევ აღემართა დროშა, მაღლა და სწორედ დაექირა და დაეძახნა: „დროშას მიეშ...“ მაგრამ ხმა ჩაუწყდა. მან იგრძნო რომ ტარი ხელში აუკანკალდა და ხელიდამ დაუსხლტა.

იმ ღალატის შხამით მოწამლულს ჰაერში დროშას აღარ შეეძლო თვისის კალთების გაშლა, არარასა პატიოსნურსა იქ აღარ შეეძლო გაძლება.....

და მოხუცებული ჰორნუსიც გადიქცა და სული დალია.

მკ. ღვინიაშვილისა.

## გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.

— ამას წინად გამოცხადებული იყო „ივერიაში“, რომ ცალკე კომმისიასა აქვსო მინდობილი ახალი წესი შეადგინოსო ცოლის და ქმრის განშორების საქმის თაობაზედაო. ეხლა გაზეთი „Новое Время“ ამბობს, რომ კომმისიას შეუდგენია ამ საგანზედ თავისი გადაწყვეტილებაო. კომმისია იმაზედ დამდგარა, რომ ცოლქმრობის განშორების საქმის თავდაპირველი გამოძიება და განაჩენი საერო სამსაჯულოს უნდა მიენდოსო და სინოდს უნდა წარედგინოს იგი განაჩენი მხოლოდ დასამტკიცებლადაო. ეს კომისიის აზრი გარჩეულ იქმნა სინოდის მიერ და სინოდს ეგ აზრი უარ-უყვია. საბუთად ეს მოუყვანია, რომ საერო სამსაჯულო კონსისტორიაზედ მალე ვერ დაადგენსო მაგ გვარ საქმეებში განაჩენსაო და საერო სამსაჯულოში განსამართლება ყველასათვის ერთ ნაირად გაადვილებული არ იქნებაო. პირველი იმიტომაო, რომ თავდაპირველი გამოძიება, პროკურორის განხილვა და მერე ოლქის სასამართლოში საქმის გარდაწყვეტა უფრო ბევრს დროს მოითხოვსო, ვიდრე აქამომდე ითხოვდაო და მეორე—იმიტომაო, რომ ოლქის სასამართლოში მოდავეებს ვექილების დახმარება მოუნდებათო და ამის გამო საქმის წარმოება უფრო ძვირად დაუჯდებათო, ვიდრე კონსისტორიაშიო და ამით ღარიბს ხალხსა ცოლქმრობის განშორების თაობაზედ სამართლის გზა დაეხშობათო.

— ლონდონის „Economist‘-ს მოჰყავს ფრიად ღირს-საცნობი ანგარიში მასზედ თუ ამ უკანასკნელს ოც-და-ხუთს წელიწადში ევროპას და ამერიკას რა დაუჯდა ომები კაცით, თუ ფულით. გამოდის რომ თორმეტს ომიანობაში დახოცილა ერთი მილლიონი ცხრაას ორმოც-და-რვა ათასი (1,948,000) კაცი და ორი ათას ოთხას ცამეტი მილლიონი ფუნტი სტერლინგი *) (2,413,000,000). ეს იმოდენა ფულია, რომ რვაჯერ ანუ ცხრაჯერ მეტია მასზედ, რაც მთელს ევროპიის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულს შტატებს ერთად წლის შემოსავალი აქვსთ.

ეს ამოდენა ზარალი ამ გვარად განიყოფება:

1) ყირიმის ომი (1853—1856) 750,000 კაცია მკვდ.
2) იტალიის ომი (1859) — — 45,000 — — —
3) შლეზვიგ-გოლშტინის ომი (1864)—3,000 ——
4) ჩრდილო ამერიკის შტატის ურთიერთშორის ომი:
ჩრდილოეთის მხრისა — — — — 280,000—
სამხრეთის მხრისა — — — — 520,000
5) გერმანიისა და ავსტრიის ომი (1866 წ.) 45,000
6-10) მექსიკისა, მაროკკოსი და პარაგვაისა 65,000
11) საფრანგეთისა და პრუსიის ომი (1870—1871)
გერმანიისა — — — — — — 60,000
საფრანგეთისა — — — — — — — 155,000
12) სერბიისა და ბოლგარიის აჯანყება 25,000—

ს უ ლ 1,948,000

ფულად:

სტერლინგი.
1) ყირიმის ომი — — — — 348,000,000—
2) იტალიის ომი 1859 — — — 60,000,000—
3) შლეზვიგ-გოლშტინისა 1864 — 7,000,000—
4) ჩრდილო ამერიკის შტატებისა:
ჩრდილოს მხრით— — — — 940,000,000—
სამხრეთის მხრით — — — 460,000,000—
5) გერმანიისა და ავსტრიის ომი— 66,000,000—
6-10) მექსიკ.,მაროკ. და პარაგ. ომები 40,000,000—
11) საფრ. და პრუს. ომი 1870-1871-500,000,000—
12) სერბიისა და ბოლგარიის აჯანყება — ? —

ს უ ლ 2,413,000,000.

— კრუპპის ქარხანაში უდიდესი ქვეყანაზედ ზარბაზანი უყიდნია რუსეთის მთავრობასა. ზარბაზანი იგი ყოფილა საჩვენებლად ამერიკის გამოფენაზედ. ყუმბარა, რომელიც უნდება მაგ ზარბაზანს, ოცდა თერთმეტი ფუთია და ხუთი ქირვანქა, სამას ორი გირვანქა წამალი უნდება ერთს გატენაზედ.

*) სტერლინგი შვიდ მანეთამდე სჭრის.

— ინგლისის გაზეთები ერთს საოცარს ამბავს მოუთხრობენ ორის წყლის ვეშაპის (КИТЪ) ბრძოლის თაობაზედ. ეს ბრძოლა ვეშაპებისა მომხდარა ინგლისის ჩრდილოდ მხრივ ზღვაში და მრავალთა მეთევზეთა თვალწინ. ეს ორი საშინელება ვეშაპი ჯერ დაჰსჯახებიან ერთმანეთს თავებითა და მერე კუდით უცემიათ ურთიერთისთვის, ასეთი ყოფა ჰქონიათ, რომ ზღვა იმ ადგილას აუღელვებიათ. შემდეგ მედგარის ბრძოლისა ეს ორი ვეშაპი ერთმანეთს დიდს მანძილზედ განსდგომიან, მოუკრებიათ რაც ძალი და ღონე ჰქონიათ, წამოსულან ისარსავით შორიდამ და ერთმანეთს დაჰსჯახებიან. ასეთი საშინელი დაჯახება ყოფილა, რომ ორივე რამდენსამე ხანს დარეტიანებულან და მერე ისევ ბრძოლა დაუწყვიათ. წყალი იმათ გარეშემო სამს-ოთხს საჟენზედ მაღლა აზვირთებულა თურმე. ბოლოს ერთხელ კიდევ შეჰსჯახებიან ერთმანეთს, რომლის შემდეგაც დიდს მანძილზედ წყალი სისხლისაგან წითლად შეღებილა. ბრძოლა მათი მთელი სამი საათი განგრძელებულა. ერთი ვეშაპი წყალს მოუტივტივებია და იქ დარჩომილა, მეორე კი წასულა. მეორეს დღეს ზღვის ნაპირას გამოუგდია წყალს ერთი მკვდარი ვეშაპი.

— შარშან ზაფხულს ლონდონში ექიმმა რიჩარდსონმა წაიკითხა ერთი ღირს-საცნობი ლექცია. იგი ამტკიცებდა, რომ შეიძლება ისეთი ქალაქი აშენდესო, რომ ადამიანს იქ მცხოვრებს დღე-გრძელი სიცოცხლე ჰქონდესო და ერთობ სიკვდილიანობა მეტად ცოტა იყოსო. რიჩარდსონმა წარუდგინა მსმენელთ თვისი აზრი შესახებ იმ ქალაქის მოწყობისა და სახელად ქალაქს უწოდა გიგიენა—ქალაქი ჯანმრთელობისა. მეცნიერნი ამბობენ, რომ რიჩარდსონის აზრი უსაბუთო არ არისო და აღსასრულებლებლად შესაძლებელიაო.

---

## ხუთი თვის ანგარიში

იერის გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობისა: იანვრისა, თებერვლისა, მარტისა, აპრილისა და მაისისა ამა 1877 წლისა, შემოწმებული და დამტკიცებული რჩევისაგან 29-ს მაისს ამავე წლისა.

| შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი | მან. | კ. |
|---|---|---|
| წილის ფული 155 წევრისა | 1888 | 10 |
| სარგებელი წინეთ დაჭერილი | 206 | 73 |
| სარგებელი ახალი ვადა მიცემულისა | 1 | 25 |
| დაბრუნებული ნასესხი | 1466 | 10 |
| ნასესხი ტფილ. საურთიერთო ნდობის ბანკიდგან პირველათ | 500 | ,, |
| მეორეთ | 500 | ,, |
| ვექსილის ქაღალდებისა | 6 | 9 |
| შესანახათ შემოტანილი | 30 | ,, |
| ნასესხი ამხანაგისაგან პირველათ | 433 | 40 |
| ნასესხი იმავე ამხანაგისაგან მეორედ | 500 | ,, |
| წმინდა მოგება 1876 წლისა | 25 | 29 |
| სათადარიგო თანხა | 2 | 87 |
| კასსაში არის ვექსილის ქაღალდი | 1 | 5 |
| ჯარიმა | 3 | 57 |
| ჯ ა მ ი | 5559 | 45 |

| გ ა ს ა ვ ა ლ ი: | მან. | კ. |
|---|---|---|
| გასესხებული | 4481 | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკის გადახდილი პირველი ნასესხი | 500 | ,, |
| სარგებელი იქვე გადახდილი მეორე ნასესხისა | 25 | 83 |
| იქვე საწევრო ფული | 100 | ,, |
| სარგებელი წინეთ ნასესხის დაბრუნებ. | 5 | 92 |
| სამართველოს ხარჯი | 8 | ,, |
| ვექსილის ქაღალდებში | 6 | ,, |
| სარგებელი გადახდილი ამხანაგიდგან პირველის ნასესხისა | 38 | 40 |
| დაუბრუნდა ერთს ამხანაგს წილი | 25 | ,, |
| კასსაში არის | 369 | 30 |
| ჯ ა მ ი | 5559 | 45 |

თავმჯდომარე: სპირდონ ჯაბადარი.

წევრნი რჩევისანი: გრიგოლ ბილანოვი. მღვდელი ნახუცაროვი. სოლომონ გოდერძოვი. ავეტიქ არუთინოვი.

წევრნი გამგებლობისანი: ალექ. ცხვედაძე. მღ. თევ. გულისოვი. აზარია დიასოვი.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюня 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.